

რედაქცია

მელიქონოვის ქუჩაზე, პეტრე ჩაიკოვსკის სახლში.

ხელის მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქონოვის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисѣ. ВЪ редакцію газеты „Дროება“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8 — მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, კომუნურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ფასი

ღირს ასობით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთარულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციციროთი, სტრიქ. — 5 კაპ., და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საქროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტოროს არ დაუბრუნდება.

# დროება

გამოდის კვირარაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

რედაქციისაგან

ზოგიერთი ახალი ხელის მომწერლები მოგვალნი წლისთვის გაზეთს იბარებენ, მაგრამ ფულს ამ თავითვე არ აგზავნიან. ამის გამო საჭიროთ ვრაცხთ გვახსენოთ ყველას ადრინდელი ჩვენი განცხადება, რომ უფულოთ, ნისინათ, ფალს გაზეთი არაა და გავაგზავნებთ.

## საქართველო

### სიტყვა და საუბრე

ამბობენ, რომ ჩვენში უბრალო ხალხი ძალიან გულ-გრილად უყურებს შკოლის და სხვა ამ ნაირ მისთვის უცხო საქმეებს.

ამ ფაქტიდამ ზოგიერთი პირები ფილისტერული თავ-მოწონებით ამ ტოცებენ, რომ საქართველოს ხალხს ეძინება და უჭირს განათლების და ცივილიზაციის შეთვისება და ამის გამო ჩვენი შრომა უბრალოთ გვეკარგება. მართს სიტყვით, ეს გვაგონებს წინასწარმეტყველებს ჩვენი ხალხის ერთს ალაგზე გაქვავებას და მის უბედურ მომავალს.

მაგრამ იმათ ავიწყდებათ, რომ ხალხის მომავალზე წინასწარმეტყველება შეუძლიან მხოლოდ იმ მეცნიერებს, რომელსაც შეუსწავლია ხალხის აწმყო და წარსული ცხოვრება, რომელსაც აუწონია და ათასჯერ გაუზომავს მისი გონებით და ზნეობით საუნჯე.

ახლა ვეკითხვით: რომელი მეცნიერების წარმომადგენელი არიან ეს გვამნი?

მერცხრთი მათგანი ვერ გვიჩვენებს თუ გინდ რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში ისეთს მათის ტიპის წარმომებს, რომელსაც ჰქონდეს რამე მნიშვნელობა მეცნიერებაში, ანუ რომლისათვის მიეძციოსთ ყურადღება რომელიმე ქვეყნის მეცნიერებს. ამის გამო ცხადია, რომ ამ პირებს არავითარი ხმა და მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდესთ ამ საგანში. მაგრამ ხშირად შევხვდებით ისეთს პირებს, რომელნიც იმეორებენ მათს აზრს; მაშასადამე მათი აზრი რაოდენიც არის ერცელდება საზოგადოებაში. ამის მიზეზი ცხადია.

როგორც ყოველი მეჭორე და ცილის მომგონებელი, ისინი არაოდეს არ ეძებენ ჭეშმარიტებას და სიმართლეს; თითო-ორილა მაგალითზე აფუძნებენ თავიანთ აზრს. ჭეშმარიტების მოყვარე კაცი ასე არ იქცევა. ამას დაუმატოთ ის მტკნარეობით, გონებითა და სულით დასუსტებუ-

ლი საზოგადოება, სადაც ეს მასხარები მიჩნიათ ჭკვიან კაცებათ; მაგრამ ნათქვამია: როგორც ბერიო, ისეთი ერიო. ამის შემდეგ ჩვენ ადვილად შეგვიძლიან გავიგოთ ამ გვამთა აზრის გაერცვლების მიზეზი საზოგადოებაში.

იქნება ამ მეჭორეებს სხვა რამე ანგარიში ჰქონდესთ, მაგრამ ჩვენ არაფის სულის გაჩხრეკა არ გვსურს, რადგანაც ჩვენ თავის-მოყვარეობა ნებას არ გვაძლევს „ბილწა წალკოტსა შინა“ შევიდეთ. ჩვენ მხოლოდ გვსურს ორიოდ კითხვა მივსცეთ მათ: სხვაგან სად მიზნის უბრალო ხალხი ამირანის ნახტომით განათლებად და ცივილზაციაში? რომელმა ხალხმა გამოაჩინა აღტაცებული და მსურვალე სურვილი ახალ წესების შემოტანაზე.

უბრალო ხალხი მთელ დედა-მის ზურგზე წინდაპირველად მაგრათ ეჭადება იმ ჩვეულებას და წესს, რომელსაც შეზრდია და შეჩვევია; ის ყოველგან კონსერვატორია. ის ისეთი იტორიული ჭეშმარიტებაა, რომელსაც ვერ დაინახავს მხოლოდსა-ცოდავი უმეცრეობა და ფილისტერული ყბედობა.

ის კანონი რომ არ ყოფილიყო ისტორიაში, მაშინ არც ასეთი სიცოცხლისათვის ბრძოლა და ნელი პროგრესი იქნებოდა ქვეყანაზე; მაშინ ყოველი ახალი აზრი და წესი დაბადებისა-თანავე გაერცვლდებოდა და ქვეყანაზე იქნებოდნენ ანგელოზები და არა კაცები.

მაგრამ ზემომოხსენებულ გვამთათვის ისტორიული კანონი არ არსებობს და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მათთვის. მათ უკერით — რათ არ ეგებება ხალხი აღტაცებით ამ განათლების მოკეტულებს, რომელნიც პირდებიან სინათლეს და ცხოვნებას ამ სოფელში.

ახლა ვეკითხვით ამ გაკვირებულ მეცნიერებს: ძალიან წინ წაიწია თუ არა განათლებაში, გონების და ზნეობის სიკეთეში უბრალო ხალხმა (სხვაგან, რუსეთში, ამ შკოლების შემოღების შემდეგ? აქაც არ გამოუჩენია ხალხს გულ-გრილობა ამ საქმეში? რა არის ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ამ მხრით ასეთი, რომელიც სხვაგან მთელს სახელმწიფოში არ იყოს?

თითქმის ყოველი ნომერი რუსული გაზეთებისა გვიმტკიცებს, რომ შკოლის საქმე ვერ მიდის ისე კარგათ როგორც უნდა იყოს, ხალხი ისეთს თანაგრძობას არ აჩენს და სხე. ის ფაქტი არაფისთვის არ არის დაფარული და ყველა კარგათ იცის, მაშინ ჩვენ რაღა დასაბრკელებლად

უნახავართ ამ კუთით და სულით დამცირებულებს, რომ თავიანთ უმეცრობას და სიბრყვეს ჩვენზე აპირებენ ამოყრა!

საქმე აქ სულ სხვაშია. თქვენ წინაპირველად გიგეთ ის ლოლიკა, რომელსაც ხალხი მისდევს, ისწავლეთ მისი გულის ენა და დაანახეთ მას ნამდვილი სარგებლობა თქვენის საქმისა; და მაშინ ნახათ, როგორ შეხვდეს მან თქვენს კეთილ საქმეს.

წინაპირველად ის უნდა იცოდეთ, ჩემო ბრძნებო, რომ ხალხს, რა ქვეყანაშიაც არ იყოს, ფილოსოფოსობის თავი მას არა აქვს და არც თქვენსავით მოცლილია; მას ყოველი წამი და ნაბიჯი სისხლის ფასად უღირს. ხალხი ხუთივე თავის გრძობით უნდა დარწმუნდეს ახალ წესის სიკეთეში და სარგებლობაში. თქვენ ამნაირად დაარწმუნეთ და გაუხორციელეთ მას შკოლების მნიშვნელობა და მაშინ ნახათ, რა ქნას და როგორი გრძობა გამოგიჩინოს მან. მაშინ მთელი ქვეყანა დაინახავს, რომ თქვენ ისე მალდა არ დგებართ, როგორც ჰგონიათ, მაშინ დაინახათ, რომ თქვენ სადაც შეცდომით შემოსულხართ თქვენთვის უცხო საქმეში და უწესობა მოგიხდენიათ; — თქვენივე სინიდასი გეტყვის ამას და მისგანვე იქნებით განდევნილი იმ სიბრძნის ტაძრად, რომელშიაც ასე უნაყოფოთ ბრძანდებით.

### დღიური

ბუშინწინდელი წარმოდგენა „პეპოსი“ თითქო ცოტათი უფრო სუსტი და უგულო იყო, ვიდრემ პირველი; განსაკუთრებით პირველი და მეორე მოქმედება სუსტათ ითამაშეს; მაგრამ მაგიერად მესამე მოქმედება ბევრად უკეთ წარმოადგინეს, ვინემ პირველად. ამას გარდა სიამოვნებით შევნიშნაეთ, რომ უფ. ჩიმიშკიანი საზოგადოთ ახლა უფრო გარკვევითა და მარჯვეთ ლაპარაკობდა, ვინემ წინეთ. თამაში ხომ მუდამ მშვენიერი აქვს. უფ. ნათაძეც მესამე მოქმედებაში აღრინდელს ბევრად სჯობდა.

„სგანარელის“ თამაშობაში უფ. პ. დ. შიფანმა ნამდვილი არცისტული ნიჭი გვიჩვენა.

ის მოღერის ვოდვეილი ქართულს სცენაზე საზოგადოთ მშვენიერად, ცოცხლად გამოვიდა, თუმცა ცოტა არ იყოს მძიმე ენით არის ნათარგმნი.

იბეჭდება ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს, რომელიც ამ მოკლე ხანში ცალკე წიგნათ გამოვა.

ამას გარდა უფ. ძარილე ლორთქიფანიძემ შეადგინა ახალი ქართული ანბანი (შრიფტი), რომლის უპირატესობა ახლანდელს შრიფტზე ის იქნება, რომ ერთის მხრით უფრო გარკვეული იქნება საკითხავათა და მეორეს მხრით ბეჭდვაში უფრო ნაკლებად ადგილს დაიჭერს, უფრო მკიდროთ ბეჭდვა შეიძლება.

\* \*

იქნება გამოსადევი იქნეს შემდეგი ამბავი ზოგიერთი ქუთათური ექიმების გასაცნობად:

მართს მეგრელს თევზის ძვალი გარტობია ყელში და რადგან ცოტათი აწუხებდა თურმე, ქუთათისის საავთმყოფოში მისულა, იქნება ნასწავლმა ექიმებმა ამომიღონო. მივიდა თუ არა, იმწამსვე მოჰკიდეს ხელი მისარჩინად. მაგრამ ვაი იმისთანა მორჩინას, როგორც ის მოარჩინესო, ამბობს ჩვენი კორრესპონდენტი: ჩაუყვეს პირში ჩანგლები, ჩოთქი და სხვა რაღაც მაგარი ხელსაწყოები და, არა თუ ძვალი, სულიც ზედ ამოაყოფესო.

ამისთანები არიან ზოგი ჩვენი ნასწავლი ექიმები რად გაგიკვირდებათ, რომ უბრალო ხალხი იმათ მეცნიერ ექიმობას არ ენდობაო!

\* \*

მართი გორელი ეპარქი გაუჯავრებია იმ პატარა შენიშნავს, რომელიც ამას წინათ იყო „დროებაში“ დაბეჭდილი და რომელშიაც, სხვათა შორის, მოხსენებული იყო, ზოგიერთს ზორის ეპარქებს ვერაფრათ ეკაშნიკათომოქმედება უფ. ძამოვეისა, რომელმანც თ. ციციშვილს დაუბრუნა შეცდომით გაგზავნილი ორასი თუმანიო. ის ეპარქი იწერება, რომ არცერთ ეპარქს თავის დღეში არ ჩუღუნია იმისთანა საქმეო, რომ ამ მხრით იმათი საყვედური შეიძლებაოდესო; ამ გვარ შემთხვევაში ყოველთვის პატიოსნათ იქცევიანო და სხე. და სხე.

სანამ ჩვენ დაგვარწმუნებდეს ამაში, თვითონვე უცნობ ეპარქს ვსთხოვთ, გულწრფელად გატყდეს: თვითონ იმას სჯერა თავის სიტყვები, თუ არა?

\* \*

სამეგრელოდამ გვეწერენ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში იქაურ დახელოვნებულ ცხენი-პარია ქურდებს ახალი სისტემა მოუგონიათ ქურდობისა: საქურდავთ რომ მიდიან, პატარა ბიჭს წაიყვანებენ თურმე თან, თვითონ დაიჭერენ ცხენს, ამ ბიჭს შესვენ ზედ და წაპოვლენ. ბიჭს წინ გაისტუმრებენო და თვითონ შორის ახლო მიჰყვებიანო. თუ გაუწყრა ღმერთი და პატრონმა დაიჭირა, გა-



წერთილი ბიჭო ეტყვის, რომ ტყუილია, ისე, სათამაშოთ შეეგვიქმნა ამ ცხენზედაც, და თუ მაინც-და-მაინც სასამართლოში წაიყვანეს, რადგან მცირე-წლოვანია, მძიმეთ მაინც არ დასჯიანო. ნამდვილი ქურდი კი ამ ნაირად მართალი და ხელ-უხლებელი რჩებაო....

\* \*

„სასოფლო ბაზეთში“ იწერებინან, რომ აქაურ თამბაქოს ეპტრებს უფ. აზნაუროვსა და მნფიაჯიანს სოფ. მუხრანში რამდენიმე დღიური თამბაქო დაუთესიათ და, როგორც მცოდნენი ამბობენო, ეს თამბაქო თითქმის სრულიად არ ჩამოუვარდება უკან მსმალის თამბაქოსაო.

\* \*

ამავე გაზეთში ერთი ამბავია დაბეჭდილი მთიულეთის სოფლის ხახმატიდამ, რომელიც ყურადღების ღირსია: ამ სოფელში 30 მოსახლე კაცი ცხოვრობს თურმე; მაგრამ ისეთს სიღარიბეში არიანო, რომ ოჯახში რომ ერთი ბიჭი გაუჩნდებათ, ცოლქმარს აღარა ჰსურთ შეიღის შემატებო; ოც-და-ათის, ორმოცი წლის ვაჟკაცები ცოლს არ ირთავენო; გაჭირებაში ვართო და ცოლ-შვილი რითი ვაცხოვროთო.

ამ სოფლის მცხოვრებლებს, თხუთმეტოვად მოსახლეს მთავრობისთვის სხვაგან უთხოვენია ადგილი დასახლებულად.

\* \*

მმართველობისაგან დანიშნულ კამისიას შეუმოწმებია როსტოვო-პლადრკაეკასის რკინის გზა და გადაუწყვეტია, რომ ამ გზის ოფიციალურად გახსნას არავითარი დაბრკოლება არა აქვსო.

წერილი რედაქტორთან

თქვენო კეთილ შობილებო, ძიავ ქართველო მეგაზეთე!

მე მინდა, ძიავ, შეგატყობო ჩვენი მობუღეთის ამბავი; მარა ქართული წერა პაწაის მეტი არ ვიცი და იგიც, ძიავ, ბებია მასწავლა პაწიობას და მეზინია, რომ კარკათ ვერ მიგახტინო.

ახლა, ძიავ, ჩვენი მობუღეთის საქმე გლახათ არის: ხალხი სუნთლათ არეულია, დიდი და პაწია სიღალით იარაღით დგანა, სამართალი არ გვაქ, არც გვაძლევს ვინმე; იმიზედა უფრო ხალხი ადგა ბრუნდიც და მართალიც; ცალკე-ცალკე სოფლებში ოლქობა ქნეს. აღარ ვიცი — რა ვქნათ.

მობუღეთში წერა არ ვიცი, კითხვა, კლასი არ გვაქ, გზაი არ გვაქ, ხელობა (ზანათი) არ ვიცი, არც ვინმე გვასწავლის, მარტო პაწაი სიმინდის და ღობის მუშაობა დაგვიჩინა ხელში; ამით მარტო სახვანთქროვ გადასახადი მივსცეთ, თუ ცოლ-შვილი ვარჩინოთ, თუ მევალეს მივსცეთ, თუ მოყვარეს ქორწილზე მიულოცოთ, თუ იმით რა ვქნათ, თუ სული დავიპურათ, თუ ტანფენი ჩვეიცვათ? მარტო სულის დასაპურებლათ არ გვეყოფა.

ამაში გამოდის ყოლიფერი უბედურება და ამიზა ფუხარა (ღარიბი) შევიქენით, ძიავ. ჩვენმა ახალ გაზდა ბიჭებმა ვერაფერი იფიქრეს და ბეური ქართველი აფხანაგები ფირალები იზოვნეს და ქურდობა და ღლეტა-წყევა დაიწყეს და ერთქამეტში მტე-რობა დაიწყეს, ცხენი და ხარი არ შეგვარჩინეს, არა ვისი ეშინიათ, აშკარათ მიყავან-მოყავან ქართველიდგან და მობუღეთი დგან. ახლა რა ვთქვათ მართლმა პარმა, არ ვიცი; სა წვეილეთ ახლა დღელიყანდები ფუხარა ვართო, სიღალი იარაღი გვინდაო, ფარა გვინდაო, ტანთსაცმელი გვინდაო, უნდა ვიზოვოთ, ძიავ.

ჩვენი ახალი კიმაკამი ჯერ ვერაფერ სამართალს ექცევა, ძიავ; ქეზის ოღაშა ქალაქში, მისწერს ხანდი ხნ იხტარ-მეჯლიშის (მამასახლისის); მარა არა კაცის ბრძანება ეყურებინან, ძიავ, და სამართალი აღარ გვაქ. ამასობაში ჩვენში ბეური კაი ბიჭები არიან, მარა ფუხრობამ შეგვაწუხა. მერ ვიზონეთ, ძიავ, აქ ვერაფერი ექენით უფაროვნო, სხოგან წვეილეთ ფარის საშუარათ, ოჯახში ქალ-ბაღანი მიმშლით მოგვიკდება, ცხენს, ხარს, შინაურს მოგვპარვენ, არამც სხოგან ვიზონათ.

ასეი შეწუხებული ვართ; გვხეწევი, ძიავ, აგი ჩემი სიტყვა კარკათ გააკეთე და შენს გაზეთში ჩასწერე, ჩემო ძიავ ბატონო.

მობუღეთელი სოფლის სამებას მცხოვრები ბულია შაიკაცო-შვილი.

მობუღეთიდან წარმოგზავნილი ფოტოში მსაცემთ. ათ ქრისობისთვე

„ღრმების“ კორრესპონდენსია

მუთათური ამბები

მართლა რომ საყვედურის ღირსნი არიან თქვენი გაზეთის თანამგრობლები, რომელთაც ამდენ ხანადი არაფერი არ მოუწერიათ მუთათისის ქალაქისთვის თვით-მმართველობის, თვით-გამგეობის მინიჭების თაობაზე, რადგან ეს საყვედური მეც შემგებმა, ვეცდები თავი ვამართლო და ეხლა მაინც მოგწეროთ რამ; მაგრამ თავი დამ ამორჩევების ამბავს კი ნუ მომთხოვთ, — დავიწყებ „ღუმის“ პირველი სხლომიდამ.

1 დეკემბერს, ორშაბათს, დილის 11-ს საათზე ლივადის სასტუმროში მუთათისის ქალაქის ღუმე მოწვეული იყო ჯერ ფიცის მისაღებათ და შემდეგ ქალაქის რჩევის წვერთა ანუ მოსამსახურე პირთა ამოსარჩევათ. თქვენს გაზეთში დაბეჭდილის „ხმოვანების“ სიიდან შეიტყობდით, რომ მუთათისის ღუმე ოთხი სხვა და სხვა ეკლესიის მადლიარებელ ხმოვანებთან შესდგება: მართლ-მადიდებლის, ქათოლ-ეკლესიის, სომხებისა და ებრაელებისაგან. მაშასადამე ამათ ფიციც თავიანთი სარწმუნოების მოთხოვნისაგან უნდა მიეღოთ.

შიცის მიღების შემდეგ, უფ. თავმჯდომარემ გამოაცხადა: „ღუმის“ დღიდან მუთათისის გამგეობა გაიხსნა

და გთხოვთ ეხლავე შეუდგეთ უპრავის მწვერებისა და სეკრეტარის არჩევისათ.

შველანი ევლოდით, რომ უფ. თავმჯდომარე ამ პირველს კრებას ერთის შესხმით და მილოცვით მიეგებებოდა, მაგრამ სამწუხაროთ იმას, გარდა იმისა, რომ გამგეობა გაიხსნა და გთხოვთ რჩევის მწვერები და სეკრეტარი აირჩიოთო, არა უთქვამს რა. — ხმოვანების ამორჩევის დროსაც, ხალხი და განსაკუთრებით მესამე კატეგორიის ამორჩეველი კარგს დამრიგებელს და გონიერს სიტყვას საჭიროებდნენ, და ნუ თუ მეტი იქნებოდა, რომ უბრალო და ამისთანა საქმეში ჯერ გამოუცდელი მოქალაქეებისთვის მაგალითად აეხსნათ: თუ რისთვის არიან მოწვეულნი, რაში მდგომარეობს ან რა არის ქალაქის თვით-მმართველობა, თუ ვის, რა თანამდებობის მქონს, ან რა მოვალეობის მკისერელს კაცს ირჩევენ ისინი? ძრიელ საჭირო იყო კარგა გარკვევით დარასაკვირველია. — ქართულათ ყველა ამბების ახსნა იმ პირებისათვის, რომელთაც იქნება დღესაც არ იციან — რა მნიშვნელობა ჰქონდა იმათგან კენჭებით მიცემულს ხმას.

რ. ლაპარაკი უნდა, რომ ამისთანა მკენჭებით ბევრი მყვირალა, „კიჟანა“ კაცები სარგებლობდნენ და ერთის მხრით ამას უნდა მიეწეროთ ის გარემოება, რომ თუმცა მუთათისის გამგეობა ჩინებულათ არის შემდგარი, მაგრამ მაინც ხმოვანებთა შორის ბევრი იმისთანებიც გამოიძებნებინან, რომლებს თავი დამ აცილება ძრიელი სასურველი იყო.

როგორც ზევით მოგახსენეთ, გამგეობა, ფიცის მიღების შემდეგ, უნდა შესდგამოდა ქალაქის რჩევის მწვერებისა და სეკრეტარის არჩევას. მაგრამ ამ კრებაზე ეს არ მოხდა, რადგან დამსწრე ხმოვანების ჰაზრი ამ საქმეზე ორათ გაიყო.

ერთი წყება ხმოვანებისა ამტკიცებდა, რომ ღუმე ჩვეის მწვერებისა და სეკრეტარის ამორჩევა არ შეგვიძლიან, რადგან არ ვიცი თუ საზოგადოთ ქალაქის შემოსავალ-გასავალის რაოდენობა, არ ვიცი — თუ რა სიმდიდრის პატრონი ვართ, რომ იმის დაგვართ ვიხლომძღვანელოთ, როდესაც მოსამსახურე პირების ჯამაგირზე გვექნება ლაპარაკიო. მსენის თხოულობდნენ მცირე ვადით კომისიის დანიშნვას, რომელსაც მიენდობოდა ჩვეის მწვერების რაოდენობის განსაზღვრა და მათი ჯამაგირისა, მდივანის (სეკრეტარის) სამსახურის ვადა და აგრეთვე მისი ჯამაგირის რაოდენობა.

მეორე მხარე ხმოვანებისა ამბობდა ამის წინააღმდეგ, რომ ღუმეს ამოგვეჩიო, როგორ ჩვეის მწვერები, ისე მდივანიც და, თუ გადაწყვეტილი ჯამაგირი არა, ამ თავით უმცირესი მაინც დაგვენიშნა, რომ სულ ტყუილ-უბრალოთ არ შეხვედროდა ვისმეს სამსახური. — ჯამაგირის უმცირასი წვერებისათვის იყო 1,200 მან. და მდივანისათვის

1,000. შემდეგ მომატებოდა „მდივანობა“. ამ მცირე ჯამაგირის დასაწინააღმდეგეთ, ამბობდნენ „ესეზი“, არაა საჭირო არც ქალაქის შემოსავალ-გასავალის გადარჩევა და არც არაფერი კომისია.

ქარგი ძალი მოლაპარაკების შემდეგ, გამგეობამ გარდაწყვიტა კომისიის ამორჩევა, რომელსაც თავისი პროექტი 4 დეკემბერს უნდა წარმოედგინა, მეორე კრებაზე.

მეორე კრება იყო დანიშნული უფ. სტეფანე აკოფაშვილის სახლებში, სადაც უწინ ოლქის სასამართლო იყო. ძრიელ მადლობის ღირსია უფ. სტეფანე აკოფაშვილი, რომელმაც თვითი სახლი და ცხელი ყავა რომით და მისი მოწყობილობით დაგვახვედრა... აქ 11 საათზე დანიშნული კრება, ძლივს პირველის ნახევარზე, თუ უფრო გვიან დაიწყო. ამორჩეულ კომისიას თავისი შრომა შეესრულებია და ამ სხლომამზე წარმოადგინა კიდევ. პირველი მუხლი პროექტისა შეიცავდა ჩვეის (უბრავის) წვერების რიცხვისა და მათი ჯამაგირის რაოდენობის განსაზღვრას. კომისიას მიუღია მხედველობაში ის მუხლი „საქალაქო წესდებისა“, სადაც ნათქვამია, რომ „ჩვეის წვერები არა ნაკლებ ორის რიცხვისა უნდა იყოსო“, და გაჩერებულია ჩვეის ორს წვერზე, და თითოსთვის 1,200 მან. დაუნიშნავს წელწადში ჯამაგირი.

რაც შეეხება სეკრეტარს, ორის წლის ვადით ამორჩევას ურჩევდა მამგეობას და 1000 მან. ჯამაგირით წელიწადში.

უკანასკნელათ, პროექტის აზრით, როგორც ჩვეის მწვერებისა, აგრეთვე მდივანის სამსახური ითვლებოდა 1876 წლის იანვრიდან და ამ დღიდან მიეცემოდათ ჯამაგირიც.

უ. „ხმოვანმა“ ირაკ. ლორთქიფანიძემ ქართულათ გადათარგმნა, ან — უკვეთ ვსთქვათ — მოკლეთ სთქვა ამ პროექტის დედა-აზრი იმისთან ხმოვანებისთვის, რომელთაც რუსული ენა რიგინათ არ ესმოდათ. ჩემის აზრით, რადგან „ქარგი“ რუსულის მცოდნე ჩვენს გამგეობაში ცოტაა, საჭირო იყო ყოველთვის ამ გვარ შემთხვევაში დედა-აზრი რუსულათ თქმულიყო და უფრო ვრცულათ და გარკვევით კი ქართულათ. საზოგადოთ ქალაქის საქმეებში ღუმეს იმისანა კაცებს აქეთ უფრო მომეტებული ინტერესი, რომელთაც რუსული საყველ-პურო ესმისთ. ამისთანა პირები არიან ხმოვანებთ; მაგრამ რის მაქნისი იქნებინან, თუ, რუსული ენის უცოდინარეობისა გამო, ვერც სხვისას გაიგონებენ და ვერც რასმეს თავის საჭიროებაზე სხვას გააგონებენ? — ამაზე ვაქცევთ უფ. თავმჯდომარის ყურადღებასა.

პროექტი ღუმამ ყოველის მხრით შეუცვლელათ და ერთის ხმით მიიღო და შეუდგა კიდევ მოსამსახურე პირების არჩევას.



წერილებით (ზაპისებით) ხმის მიცემის შემდეგ, გამოჩნდა, რომ ბამგეობის წევრებზე კენჭი უნდა ეყარათ: უფ. ანტონ ლორთქიფანიძეს, ივ. ჯათანს, ივ. ბინდუროვს, ბეს. ხელთუფლიშვილს, ს. აბულაძეს, უ. ლინჩესკის და მგონი კიდევ ერთს ვილაცას. — ერთმა ამ უკანასკნელ კანდიდატთან თავის დროზე უარი სთქვა და მეორე კი გააშვეს. დარჩენ ოთხნი, რომელთაგან აირჩიეს უ. ანტ. ლორთქიფანიძე და ივ. ჯათანი.

როდესაც კენჭის ყრა ამ უკანასკნელზე — ივან ჯათანზე მივარდა, ერთმა ხმოდანთაგანმა განაცხადა, რომ იმას არა აქვს ნება იყაროს კენჭი, როგორც სამსჯავრო ნ. წილის წევრს, სანამდისინ ნება ართვის მოწმობას არ წარმოადგენს თავის უფროსისაგანაო... ამასზე უფ. ჯათანი განაცხადა, რომ, თუ კი ამომირჩიევენ, მაშინ ჩემს ეხლანდელ სამსახურს მივატოვეფო და, ცოტა ხნის ბაასის შემდეგ, ამოირჩიეს კიდევ გამგეობის მეორე წევრათ.

ამით გათავდა ეს დილის კრება. იმ დღესვე საღამოს იყო ამ მწვერების კანდიდატებისა და ჩრევისპდივანის ამორჩევა. პანდიდატებად ამოარჩიეს უფ. ბეს. ხელთუფლიშვილი და სტ. აკოფოვი; — მდივნათ უ. ლულაძე.

## რუსეთი

სახელმწიფო ქონებისა და გზათ სამინისტროებს შუა ამ ჟამად მოლაპარაკება არის თურმე იმაზე, რომ მთავრობამ ვალდებულად განადოს ყველა რკინის გზებისა და ხომალდების პატრონები, რომ, შეშის მაგივრად, ქვა-ნახშირი იხმარონ. როცა ეს ვანკარგულება გამოვაო, ამბობენ, მაშინ რკინის გზებზე ქვა-ნახშირის გადატან-გადმოტანისათვის უფრო იაფი ფასი იქნება დანიშნულიო.

პიევეში შემდგარა ამას-წინათ საზოგადოება ჩინებულის მიზნით: საზოგადოება ისეთს პატარა წიგნებს ბეჭდავს, რომლებიც თავის შინაარსითა და ფასით ხალხისათვის დანიშნული არის. ამბობენ, რომ ჯერჯერობით ამ საზოგადოებას ძალიან უხვიროთ მიჰყავს თავის საქმეო: თუმცა, მართალია, იფ წიგნებს ჰბეჭდავსო, მაგრამ ისეთი უხვირო და უაზრო წიგნები გამოსცაო, რომელთაც ხალხისთვის არაერთი სარგებლობის მოტანა არ შეუძლიანო.

„მოსკოვის უწყებებში“ იწერებთან, მმართველობას განზრახვა აქვსო, რომ

ახლანდელ საფერშლო შკოლებში ექიმობის სწავლაც დაწყებინონო ასე, რომ ამ შკოლებიდან გამოსულს შაგირდებს ექიმობის უფლება ექნებათო.

ძალიან სუსხ ზამთარს იწერებთან წვლს მთელს რუსეთში. ამ სიცივეების გამო, პეტერბურლის პოლიციამისტერს იქაური სასტუმროების პატრონისთვის ნება-რთვა მიუცია, რომ მთელი ღამე ღია ჰქონდეს სასტუმროების კარები, რომ გცივებულ ხალხს შესვლა და გათბობა შეეძლოს ჩაითა ანუ ყავეთი. მარშავის პოლიციების განყოფილებებში ისეთი გასათბობელი ოთახები გაუმართათ, სადაც მათხოვარ და უსახლკარო ხალხს შეუძლიან შევიდეს და გათბეს.

## უცხო ქვეყნები

გერმანიის ბაზ. „პეშტის ლოიდი“ შემდეგის სიტყვებით ასწერს აჯანყებულების მდგომარეობას:

„სადავო აღარ არის, რომ ამ უკანასკნელ დროში გერცოგოვინელებმა გამარჯვებულად წაიყვანეს თავის საქმე. მქტომბრამდის ის ადგილები, რომელნიც აჯანყებულებს ეკავათ ხელში, იყენენ მარტო ღალატის და ბერცოგოვინის მიმყოლი სამხლერები; შიგ ბერცოგოვინაში რაც პატარა-პატარა ჩხუბი იყო ხოლმე მათ მარტო ის მნიშვნელობა ჰქონდათ, რომ მაგარი ადგილები ჩაეგდოთ ხელში აჯანყებულებს.

მაგრამ სტრატეგიული მხრით შესანიშნავი ადგილები სულ შეუსაყალი იყო მათგან და მათი საომარი მოძრაობა ის იყო, რომ დასცემოდნენ ხოლმე სურსათს რომელიც გამოიყლიდა ქლეკიდგან ან რაგუზიდგან; მაშასადამე მათი უმთავრესი ფიქრი იარაღსა და სურსათზე იყო მიქცეული და ამ მხრით კიდევაც თავს იკმაყოფილებდნენ, რად განაც ბლომად სკარცევენდენ თათრებს. შოველთვის, როცა კი გათავდებოდა ჩხუბი, მაშინათვე დაბრუნდებოდნენ უკან და იმალებოდნენ მთებში. ამ ნაირ მდგომარეობაში, ზუბინანის მახრა იყო მათთვის თავადგილათ, რადგანაც აქიდგან ადვილათ შეეძლოთ ჩერნოგორიაში ან ავტრიაში გადასვლა, თუ რომ დიდი დამარცხება მოუვიდოდათ თათრებისაგან; თორემ და აქიდგან გამოდიოდნენ თათრების თავდასაცემად. ამ ნაირი იყო აჯანყებულების მდგომარეობა ამ ოქტომბრის დასაწყისამდის; ამ დროიდგან-კი უფრო გაბედულათ გადაწყვეტილად დაწყეს ბრძოლის წაყვანა: იმ მთებიდგან ჩამოვიდნენ, სადაც უწინ იყვნენ და ეხლა უკავიათ სხვა მთიან ადგილებს გარდა ეაკე ადგილები მაჩკოს გარშემო, პივის ზეობა და სხ; საზოგადოთ ეხლანდელი მათი მოქმედობა უფრო აზრიანი არის, და უფრო სტრატეგიული ხელოვნება

ჰსჩანს ამ მოქმედებაში, ვინემდ უწინ; ამ ნაირი მიმართულების განსაზღვრის გარდა, ამბობენა უფრო გავრცელდა და აჯანყებულებს ის სიერცე უკავიათ, რომ ვიალეტი (გუბერნიის) უფროსს რეუფ-ფაშას ძრიელ გაჭირებული აქეს საქმე. მხლა ლაზარე სოჩიკის და პეკე პელოვიჩის ჯარი ბორანსკოს და პივის ახლო-მახლოთ არიან და თუ ამ ორი ადგილის აღება მათ მოუხდათ, მაშინ მაჩკოს მინდერები და პივის ხეობა მათთვის გაშლილი იქნება.

ამას გარდა აჯანყებულებს იმისთანა ადგილებიდგან მოდისთ შემწეობა, რომელთანაც ეხლამდის იმათ არაერთი დაახლოვება არა ჰქონიათ. რეუფ-ფაშა აგროვებს რაც ჯარი ყავს ხელში — ბერცოგოვინასა და ბოსნიაში — და უნდა დაამარცხოს საშუდამოთ აჯანყებულები, რომელნიც პივისა და მაჩკოს ახლო-მახლოთ არიან თავ-მოყრილნი.

რეუფ-ფაშას დღემდის არაფრით გამოუჩენია თავი, მაგრამ ეხლა ჰგავს, რომ ის დიდ გამარჯვებას მოეღის თავის მოქმედებიდგან; თავის ჯარებს გარდა სარაევიდგან დაიბარა კიდევ მთელი რედიფი ბერცოგოვინაშილ გასაგზავნათ.

მსალოლს მთავარ-მართველს უნდა, რომ კარგათ დაზამთრებამდის მოუღოს ბოლო აჯანყებას. საქმე იმაშიდ არის, როგორ იმოქმედებენ ამ შემთხვევაშილ აჯანყებულები: შეაერთებენ ერთად ყველა ჯარს, რაც ეხლა იმათა ჰყავთ ბორანსკოს, პივის და მურატეიჩის შუა და ისე ერთად იმოქმედებენ მტერთან, თუ როგორც ეხლამდის იქცეოდნენ, მარტო თავის დასაცველად ჩხუბობდენ და პირველი დამარცხების შემდეგ გადაცვიდებიან დასამალავათ ლებრეშნიკის მთებშილ.

რეუფ-ფაშის მოძრაობა ამ დღეებშიეე დაიწყება და ამ მოძრაობის შედეგი გვაჩვენებს, ამ დაზამთრებამდის გათავდება ომი ან თუ გაატანს გაზაფხულამდის. რეუფ-ფაშისათვის შეუძლებელია რამოდენიმე ხნის დაყოვნება, რადგანაც ამ ცოტა ხანში, თოვლისა და ცუდი ამინდებისაგან, მისთანა მდგომარეობაში ჩაეარდება, რომ არაერთი მოძრაობა მათზე აღარ მოხერხდება; და მასთან რადგანაც მთელი ჯარი ერთადგილზე იქნება თავ-მოყრილი, იმან ან უნდა გაუშვას ჯარი და ან უნდა დ-უყოვნებლიე დაიწყოს საქმე, რადგანაც გზების შეკურის შემდეგ არას გზით აღარ მოხერხდება სურსათის მოტანა ჯარისათვის.“

## ნარკვი

პარიჟში ამ ჟამად მოლაპარაკება არის თურმე ისეთი სახალხო თეატრის აშენებაზე, რომლის ზალაშიაც უკანასკნელი 16,000 კაცი უნდა დაეტიოს. ადგილების ფასი სამი შაურიდამ დაწყებული ათ შაურზე მეტი არ უნდა იქნეს.

შამოჩენილი საფრანგეთის მუზიკანტი (კომპოზიტორი) მეორე პროექტს უჩრეხს: ის

ამბობს, რომ ისეთი თეატრი გამართონ, სადაც ახალგაზდა კომპოზიტორებს თავის ოპერების წარმოდგენა შეეშლოს და ახალგაზდა მომღერლებს პირველად სცენაზე გამოსვლა და გამოცდა.

პარიჟის ახალ მკერას დღეში საშუალო ანგარიშით ექვსი ათასი მანეთი აქვს გავალი და ხუთი ათას რეაას მანეთამდი შემოსავალი.

დიდი ხნის მოხუცებულები არ მოსწრებიან თურმე სამხრეთ რუსეთში (პირიმში) ისეთ სიცივეს, როგორიც წლს არისო. მღესაში, სადაც ამ ჟამად ძალიან ბევრი დატაკი და უსახლკარო ხალხი იმყოფებაო, პატარა ბიჭები განგებ ავახაკობენ და ქურდობენო, იქნება სასამართლომ საპურობილეში ჩაგვსვასო, თბილი ოთახი მაინც გვექნებაო.

პიევის გუბერნიის ზოგიერთს უეზღში ისეთი სიცივეები და ყინვა ყოფილა, რომ გაუნული ფრინველები ჰაერადამ მიწაზედ ცვიოდნენ თურმე.

მთი მკითხავი (ქადაგი) დედა-კაცი გამოჩენილა ამას წინათ შაჩანში, და წინასწარმეტყველებს თურმე, რომ სწორეთ ახალწელიწადს დღეს შაჩანის ახლად აშენებული თეატრი ხელ-ახლად დაიწვება და ამდროსვე დაიწვება ყველა ხალხი, ვინც ამ დღეს თეატრში იქნებაო. ამ სისულელეს ისე შეუშინებია იქაური ცრუმორწმუნე ქალები, რომ ახალწელიწადს არც თვითონ პირებენ თეატრში წასვლას და არც კაცებს უშვებენ თურმე...“

## განცხადებანი

თფილისის სამკურნალო (4 პარილის სახლოვრად)

მრეენის მადანზე, ჩიტახოვის სახლებში. ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ.

მ. რ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. ექიმი ტელიაჭუსი — ქალისა და ემაწვილების ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი — შინაგანი ავათ-ყოფობისათვის.

ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. მერმიშვიე და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

მ. თ. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. ლისიცივი — შინაგანი ავათმყოფ., მაკოვსკი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხ. უ. თ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. ბრაზოვსკი — ხირურგიული ავათმყოფ., ტელიაჭუსი — ქალებისა და ემაწვილების ავათმყოფ. და მერმიშვიე — შინაგანი ავათმყოფობისათვის.


პ. ა. რ. ა. ს. კ. ე. ვ. ს. ლისიცივი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

შ. ა. ბ. ა. თ. ს. მერმიშვიე — შინაგანი ავათ-ყოფ. და მაკოვსკი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვიდა პატარა „დროების ქალენდარი“ რომელიც ამ მოკლე ხანში ყველა ჩვენს ქალაქებში გაიგზავნება „დროების“ აგენტებთან გასასყიდველად.

ფასი ყველგან ორი შაური.





ერთს ნაშრომის ძალს ჰსურს აიყვანოს ახალგაზრდა შაგირდები ნეცეცურისა და ფრანცუზული ენის სასწავლებელად.

შაგირდები ივლიან აქ ქალთან ყოველ დღე დილიდამ შუადღემდე ანუ ნახადილევიდამ საღამომდე.

შეუძლიან აგრეთვე უროკებზე თვითონაც იაროს.

შასნი: თითო შაგირდისათვის თვეში ხუთი მანეთი.

მსურველთ შეუძლიან შემდეგის აღრესით მიმართონ: თფილისში, ან. ჩის ხატის უბანში, ბრძელის სახლებში და აგრეთვე „დროების“ რედაქციაში. (3-5)

**კატარაზური და ჩამოსული ბავია ბარტენავ — ივანოვისა**

სხივობის პროფესორის ქუჩაზე, მუნთოვეის სახლებში, სახელმწიფო ქონების შამგოზის პირდაპირ. მნახველებს იღებს ყოველ დღე, დილაობით 9 საათიდან 11-მდე. ღარიბებს უფულოდ აძლევს შეწევნას.

**იხილება**

ქალანდაძის და მართანოვის წიგნის მალაზიაში ტუკის ხილზე პ. შმიკაშვილის გამოცემანი:

**გრიგოლ ორბელიანის ლექსები**

შასი ათი შაური

**სიბრძნე სიცრუის წიგნი**

საბა ორბელიანისაგან

შასი ათი შაური

**დაიბეჭდა და იხილება თამარ სამართავლოს ბატონისუბილის**

ისტორიული რომანი

მ. რჩეულოვისა.

თფილისში: მელიქიშვილის და აბს. სტამბაში და მნფიჯიანცი წიგნის მალაზიაში.

შასი ყველგან ექვსი შაური.

დაიბეჭდა და იხილება თფილისში, ქ. ხელაძის სტამბაში, მანოვის ქუჩაზე, მ. ბებუთოვის სახლებში და წიგნების მალაზიაში

**ჰიანური**

ანუ

სახუმრო ლექსები

შინარსით:

— ბაძარჯობა მკითხველს! — ძებთ გააახება ქლებთან! — შაქის აზრი ლამაზ ქალზედ. — ცილ ქომობის ვითარება. იმერლების და ქართველების შესება. — ბატონ ყოზობის ლექსა. — დღევანდელი წამკითხველს! — შეკრებილი და გამოცემული ქ. ხელაძისაგან და თეოფ. ძანდელაკისაგან.

შასი ორი შაური.

Правление Тифлисского Общества Потребления и Торговли Кавказскими виноградными винами, желая войти въ прямия сношения съ винодѣльцами Кахетии и другихъ мѣстъ Закавказскаго края, покорившее просить ихъ доставлять пробы винъ, съ означеніемъ крайнихъ цѣнъ, въ г. Тифлисъ, въ подвалъ Общества на Головинскій проспектъ, въ домѣ Заверіева. (3-3)

**როინოვის ფოტოგრაფიაში**

(სახლის ქუჩაზე, ზ. სარ. ჯევის სახლებში).

იხილება სხვა და სხვა ქვეყნების წარჩინებული მწერლების სურათები და აგრეთვე ახლად გადაღებული სურათი

შოთა რუსთაელისა

შასნი: სულ დადი კედლის სურათი — 1 მან. თითო ეგზ.

— კაბინეტისა 50 კაპ.

პატარა კარტოჩკები 20 კაპ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ: Въ Тифлисъ, Въ фотографію Рошнова, на Дворцовой улицѣ, въ домѣ Сараджова.

შუ. ქალანდაძის და ამხანაგობის წიგნის მალაზიაში ტუკის ხილზედ იხილება ყოველგვარი ქართული წიგნები.

ასენ ქალანდაძის და ივანოვის ნარსისოვის გამოცემანი:

მან. კაპ.

ბეჟანიანი, მეორედ დაბეჭდილი, 1875 წ. . . . . — 10

მარდ-ბულბულიანი, თქმული თეიმურაზ მეფესა პირველის, 1875 წ. . . . . — 5

ქალ-მაჟანი, მეორე გამოცემა, 1875 წ. . . . . — 5

ალექსიანი, გამოცემა პირველი, 1873 . . . . . — 5

შინდა მარინის წამება და პარამიანი, 1874 . . . . . — 5

ქაწვილის სარკე ანუ წერაკთხვის საწველი წიგნი შედგენილი ანთიმოზ შუღელისაგან 1875 . . . . . — 15

მეფის ტყაოსანი შოთა რუსთაელისა, შექცეულ დაბეჭდილი, გამოცემული პრსენ ქალანდაძის, ქვეთიმე ხელაძის და ივანოვის წერსელოვისაგან. 1875 . . . . . — 50

ამითიმე ხელაძის და აბს. გამოცემა

ლოცვანი ყოველდღე სათქმელნი. გამოც. მეორე 1875 . . . . . — 5

სურამის ცხე, მოთხრობა დანიელ ზონქაძისა, 1875 . . . . . — 20

სამიჯნურო მიწერ-მოწერა ქალ ვაქისა, 1875 . . . . . — 5

მთერანი, აბს. რომ და მთერის ამბავი, შედგენილი პ. შიკაშვილისაგან, 1875 . . . . . — 5

ჭანური, გამოცემა პირველი 1875 . . . . . — 10

სტ. ზარაფოვის გამოცემა

საქაწვილო ქონა, შედგენილი ი. ზოგებაშვილისაგან 1875 . . . . . — 30

რჩეული არაკები „სიბრძნე სიცრუე“-ისაგან, თქმული საბა მრბელიანისაგან, 1874 . . . . . — 5

ლექსები სახ. სხვა სიმღერებისაგან, შედგენილი პ. შიკაშვილისაგან, 1874 . . . . . — 5

ქარამიანი, კარი პირველი და მეორე, გამოც. დ. ლაზაროვისა და ნიკ. პობალაძისაგან 1875 . . . . . — 60

ქარამიანი, მესამე კარი სიბრძნე სიცრუის წიგნი, თქმული საბა სულხან მრბელიანისაგან, გამოც. პ. შიკაშვილისა 1871 . . . . . — 50

თ. გრ. მრბ. ლექსები, გამ. პ. შიკაშვილისა 1873 . . . . . — 50

დავითიანი, თქმული ბურამიშვილის დავითისაგან, წიგნი პირველი, 1873 . . . . . — 50

საქრთველო, პირველი რეველი, შესავალი, ქვეჯ. ზა. თხზულება დიმ. ბაქრაძისა 1871 . . . . . — 50

ბავშვების მოვლა პ. კომბისა, თარგმნილი შაქლ მამბლისაგან, 1870 . . . . . — 50

სამზარეულო წიგნი, შედგენილი მნ. ბარბარე ჯორ.

ჯადსაგან, 1874 . . . . . — 1

სიტყვანი და მოძღვრებანი თქმული იმერ. მწიგნობართა ციკლი. ადამიანი, მოთხრობა ილ. შვეციძისა, ს. პეტერბურლი 1869 . . . . . — 50

ქართული ჰისტორია, ნაწილი პირველი და მეორე გამოც. დავით ჩუბინოვისაგან ს. პეტერბურლის . . . . . — 1

ბუნების ძარი, დაბალ კლასიკში სხმ. რეზელი შედგ. იაკ. ზოგებაშვილისაგან 1872 . . . . . — 60

ანბანი, შედგ. იაკ. ზოგებაშვილისაგან 1872 . . . . . — 5

დაიბეჭდა მასწავლებელთათვის შედგ. ი. ზოგებაშვილისაგან 1872 . . . . . — 5

პირველი წიგნი, ამერიკულ მეთოდზე შედგ. რაფ. ისაარლიშვილისაგან 1875 . . . . . — 5

ქალენდარი სომეხთა და ქართველთა გამოცემა ს. მდიანოვისა 1876 წლის . . . . . — 20

თამარ-ბატონიშვილი, ისტ. რომანი მ. რჩეულოვის 1875 . . . . . — 30

მგოსანი, სიმღერები თქმული დავ. შვიშვილისაგან, 1875 . . . . . — 20

სალხინო საზანდარი, სხვა სიმღერების კრება შედგ. მ. სკანდაროვისაგან, 1875 . . . . . — 1

ქეთილი ბერიკაცი, ნათარგმნი მთრ. შარაბიძისა მიერ 1875 . . . . . — 5

ქრებულები 1873 წლის ცხრა წიგნი . . . . . — 3

ქალაქს გარეთ ვისაც წიგნების დაბარება უნდა, ამ აღრესით მოითხოვონ.

Въ Тифлисъ. Книжный магазинъ г. Калапдадзе, на Михайловскомъ мосту, зданіе Мирзоева.

ქალანდაძის, წერსელოვის და ხელაძის გამოცემულ წიგნებს ვინც ხუთ მანეთზე მეტს დაიბარებს, მანეთში ორი შაური დაეთმობა. სხვა წიგნებში ფიქტის ფული არ გადახდებათ.

იხილება და მალე გამოვა გასასყიდათ:

სახელმძღვანელო წიგნი მღვდელთათვის, შედგენილი დავით ლამაზ ძისაგან.

Table with 5 columns: Item, Price, Quantity, etc. Rows include items like 'თფილისი', 'მცხეთა', 'ბორი', 'ხაშური', 'ბეჟათუბანი', 'ქვირილი', 'ქუთაისი', 'სამტრედია', 'ახ.-სენაკი', 'შოთი', 'შოთი', 'ახ.-სენაკი', 'სამტრედია', 'ქუთაისი', 'ქვირილი', 'ბეჟათუბანი', 'ხაშური', 'ბორი', 'მცხეთა', 'თფილისი'.

Table with 5 columns: Item, Price, Quantity, etc. Rows include 'ა) შოთიდან:', 'ბ) ქუთაისიდან:', 'გ) ბორიდან:', 'დ) შოთიდან:'. Includes sub-tables for 'სახუმრო' and 'ქალმზრავი'.

Table with 5 columns: Item, Price, Quantity, etc. Rows include 'ა) თფილისიდან:', 'ბ) ქუთაისიდან:', 'გ) ბორიდან:', 'დ) შოთიდან:'.

Table with 5 columns: Item, Price, Quantity, etc. Rows include 'პეტერბურგი, 11 დეკემბ.', 'მთი მანეთი ღირს:', 'ლონდონში 32 ჰენსი.', 'პარიზში 334 სანტიმი.', 'მსკონტი(სარგებლისთვის)', 'ბანკის ბილეთი 5%', 'მოგებიანი(პირველისთვის)', 'მოგებიანი (მეორე სესხი)', 'ბირაოს ფურცლები:', 'თფილ. საზნ. ბანკისა.', 'ხერსონის ბანკის (5 1/2)', 'მოსკოვის (5%)', 'ქუციები:', 'მდსის საფურო ბანკის', 'შოთი-თფილ. რკნ. გზის', 'შავიზღვის ცეცხ. გემების', 'ქვეჯ. ზა. და მერკურის.', 'პირვ. საზღვევ. საზოგ.', 'პეტერბ. საზღვევ. საზ.', 'მოსკოვის საზღვევ. საზ.'

Table with 5 columns: Item, Price, Quantity, etc. Rows include 'თფილისი, 15 დეკემბ.', 'პური შორაგალის ფთ.', 'ქერი ფუთი.', 'ბამბა მრეწვისა, ფუთი.', 'ამერიკისა, ფუთი.', 'მატყული თუშური ფთ.', 'თარაქვისა ფთ.', 'პბრეშუმი ნუბური ვრ.', 'ქონი, ფუთი.', 'ქონის სანთელი ფუთი.', 'სტეარინის სანთელი, ფ.', 'ხორცი ძროხისა, ლიტ.', 'ცხვრისა, ლიტრა.', 'სპირტი, ვედრო.', 'შაქარი, ბროც. ფუთი.', 'ფხვნილი ფუთი.', 'ქავა გრგვალი ფუთი.', 'ხეთი ქუნჯუთისა ფთ.', 'მქრო 1/2 იმპერიალი.'